საქართველოს კანონი

ტურიზმის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

1. ეს კანონი განსაზღვრავს ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკასა და ტურისტული საქმიანობის სუბიექტებსა და მიმართულებებს, აწესრიგებს ტურისტულ საქმიანობას, აგრეთვე განსაზღვრავს ტურისტის, როგორც მომხმარებლის, უფლებებსა და გარანტიებს, ტურისტული მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციებსა და ვალდებულებებს, ტურიზმის სფეროში კერძო და საჯარო თანამშრომლობის მექანიზმებს, ტურისტის უსაფრთხოებასა და ტურიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება საქართველოს კონსტიტუციისგან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აგროტურიზმი – ტურიზმის მიმართულება, რომელიც ხორციელდება ფერმერულ მეურნეობაში და მოიცავს ტურისტების მიღებას, კვებას, მათთვის სოფლური ცხოვრების წესის, კულტურის, ადგილობრივი ტრადიციებისა და ღირსშესანიშნაობების გაცნობას, ტურისტების ჩართვას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მათთვის ადგილობრივი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდებას და ტურიზმსა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის განხორციელებას;

ბ) ალპური გამყოლი – სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც უძღვება ტურისტს/ტურისტების ჯგუფს ნებისმიერი სახის, ნებისმიერი სირთულის მთის რელიეფზე, მათ შორის, ალპინიზმისა და მთამსვლელთა საერთაშორისო ასოციაციის (UIAA) კლასიფიკაციით განსაზღვრული ნებისმიერი კატეგორიის კლდოვან მარშრუტზე, მასთან დაკავშირებულ ალპინისტურ მარშრუტებზე, და პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად წელიწადის მხოლოდ იმ დროს, როდესაც საჭირო არ არის სათხილამურო აღჭურვილობისა და სამთო თხილამურებზე სრიალის ტექნიკის გამოყენება;

გ) გადაყიდვის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოვაჭრე საფასურის სანაცვლოდ მომხმარებელს ეხმარება დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაში;

დ) გამყვანი ტურიზმი – მოქალაქის/რეზიდენტის მოგზაურობა უცხო ქვეყანაში (საკუთარი ქვეყნის ფარგლების გარეთ);

ე) განთავსების საშუალება – ტურისტული მომსახურების ობიექტი, რომელიც განკუთვნილია ტურისტისთვის არანაკლებ 1 ღამის გასათევად;

ვ) გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებები – გარემოებები, რომლებსაც ვერ აკონტროლებს ამ გარემოებების გამომწვევი პირი და რომელთა შედეგების თავიდან აცილება ყველა მიზანშეწონილი ღონისძიების განხორციელების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია;

ზ) გაცვლის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ უერთდება გადაცვლის სისტემას, რაც მას უფლებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეს განთავსების საშუალებაზე ან სხვა მომსახურებაზე, რის სანაცვლოდაც იგი სხვა პირებს გადასცემს მომხმარებლის დროის განაწილების ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებებით მიღებულ შეღავათებზე დროებითი წვდომის უფლებას;

თ) გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის

ხანგრძლივობა 1 წელს აღემატება და რომლის თანახმადაც, მომხმარებელი საფასურის სანაცვლოდ განთავსების საშუალებასთან დაკავშირებით იძენს ფასდაკლების ან სხვა შეღავათების მიღების უფლებას, ცალკე ან ტურისტულ მომსახურებასთან ან სხვა მომსახურებასთან ერთად;

ი) დაკავშირებული ტურისტული მომსახურება – არანაკლებ ორი სხვადასხვა სახის ტურისტული მომსახურება, რომლებიც შეძენილია ერთი და იმავე მოგზაურობის ფარგლებში, არ შეადგენს პაკეტს და რომელთა მისაღებად იდება ცალკე ხელშეკრულებები ტურისტული მომსახურების ინდივიდუალურ მიმწოდებლებთან, თუ სრულდება ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ი.ა) მოვაჭრე უზრუნველყოფს ტურისტის ერთ ვიზიტს ან კავშირს ტურისტული მომსახურების რეალიზაციის პუნქტთან, ტურისტის მიერ თითოეული მომსახურების ცალ-ცალკე შერჩევას და შესაბამისი საფასურის ცალ-ცალკე გადახდას;

ი.ბ) მოვაჭრე მიზანმიმართულად უზრუნველყოფს სხვა მოვაჭრისგან სულ მცირე ერთი დამატებითი ტურისტული მომსახურების შეძენას, თუ ხელშეკრულება ამ სხვა მოვაჭრესთან დადებულია პირველი ტურისტული მომსახურების დაჯავშნის დადასტურებიდან მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში;

ი.გ) ამ მუხლის „ჰ.ა“, „ჰ.ბ“ ან „ჰ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთი ტურისტული მომსახურება გაერთიანებულია ამავე მუხლის „ჰ.დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ერთ ან ერთზე მეტ ტურისტულ მომსახურებაში, რომელიც (რომლებიც) ტურისტული მომსახურების საერთო ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტს შეადგენს და რეკლამირებული არის, როგორც მოგზაურობის ან დასვენების არსებითი ელემენტი, და სხვაგვარად არ წარმოადგენს მოგზაურობის ან დასვენების არსებით ელემენტს;

კ) დამხმარე ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მომხმარებელი სარგებლობს მომსახურებებით, რომლებიც დაკავშირებულია დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებასთან და რომელთა განხორციელებას უზრუნველყოფს მოვაჭრე ან მესამე მხარე ამ მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე;

ლ) დროის განაწილება – რამდენიმე მფლობელის ან მომხმარებლის მიერ უძრავი ქონებით ერთობლივი სარგებლობა, რომლებსაც უფლება აქვთ, გამოიყენონ უძრავი ქონება, როგორც განთავსების საშუალება, დროის განაწილების წინასწარ განსაზღვრული სქემით;

მ) დროის განაწილების ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის

ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 წელზე მეტი ვადით და რომლის თანახმადაც, მომხმარებელი საფასურის გადახდის სანაცვლოდ იძენს უფლებას, განთავსების საშუალება გამოიყენოს 1 ღამით ან 1-ზე მეტი ღამით ერთზე მეტი სარგებლობის პერიოდით;

ნ) ეკოტურიზმი – ბუნებისა და ბუნებრივ არეალში ტრადიციული კულტურებისა და საქმიანობების შეცნობა, შეფასება ან/და ამ მიზნით ტურისტული საქმიანობის განხორციელება;

ო) ექსკურსია – გამყოლის ან ტურისტული გიდის ხელმძღვანელობით მოგზაურობა წინასწარ განსაზღვრული მარშრუტით. მისი ხანგრძლივობა 24 საათს არ აჭარბებს;

პ) ვიზიტორი – ტურიზმის სტატისტიკის მიზნებისთვის მოგზაური, რომელიც მოგზაურობს მთავარი დანიშნულების ადგილისკენ ჩვეული გარემოს გარეთ 1 წელზე ნაკლები დროით და ნებისმიერი მთავარი მიზნით (ბიზნესი, დასვენება ან სხვა, პირადი მიზანი), გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. ვიზიტორი მოგზაურობის ხანგრძლივობის მიხედვით არის ტურისტი ან ერთდღიანი ვიზიტორი (ექსკურსანტი), კერძოდ:

პ.ა) ტურისტი – ვიზიტორი, რომელიც მოგზაურობს ბიზნესის, დასვენების ან სხვა, პირადი მიზნებით, სულ მცირე ღამის თევით და არაუმეტეს 1 წლით, გარდა დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე არსებულ დაწესებულებაში დასაქმებისა. ამ კანონის IV თავის მიზნებისთვის ტურისტი არის პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება ან უფლება აქვს, იმოგზაუროს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

პ.ბ) ერთდღიანი ვიზიტორი (ექსკურსანტი) – ვიზიტორი, რომლის მოგზაურობა არ მოიცავს ღამის თევას;

ჟ) ინკლუზიური ტურიზმი – ტურიზმის მიმართულება, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს შორის უნივერსალური დიზაინის გამოყენებით არსებით თანასწორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის პროცესია. იგი მოიცავს მობილობის, სმენის, მხედველობისა და მისაწვდომობის კოგნიტურ შემადგენელს ფუნქციურად დამოუკიდებელი და თანასწორად მისაწვდომი ტურისტული პროდუქტის, მომსახურებისა და ფიზიკური გარემოს მიწოდებით;

რ) კურორტი – საკურორტო ადგილი, რომელზედაც განთავსებულია საკურორტო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

ს) რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება – მოგზაურობისას რისკის

შემცველი აქტივობა, რომელიც ხორციელდება მიწაზე, წყალში, ჰაერში, სხვადასხვა რელიეფისა და კლიმატური ზონის, უჩვეულო, ეგზოტიკურ, მოშორებულ, დაუსახლებელ (მიუვალ) ადგილას ან სპეციალურად მოწყობილ და აღჭურვილ არეალში და შეიცავს მომხმარებლების დაზიანებისა და ტურისტული აქტივობიდან გამომდინარე სხვა საფრთხეებს;

ტ) მოვაჭრე – პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს და ამ კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი), დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი;

უ) ტურისტული პაკეტის დაწყება – ტურისტული პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებების განხორციელების დაწყება;

ფ) რეპატრიაცია – ტურისტის დაბრუნება გამგზავრების ადგილზე ან ნებისმიერ ადგილზე, რომლის შესახებაც ტურისტული პაკეტის ან/და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშემკვრელი მხარეები შეთანხმდებიან;

ქ) რელიგიური ტურიზმი – რელიგიური მიზნით მოგზაურობა, წმინდა ადგილების მონახულება, მომლოცველობა;

ღ) სათხილამურო გამყოლი – სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც უძღვება ტურისტს/ტურისტების ჯგუფს თხილამურებით ან/და სნოუბორდით ნებისმიერი სირთულის გაუკვალავ თოვლში ასვლისა და დაშვების მარშრუტებზე, აგრეთვე თხილამურებით სრიალის ტურს ვერტმფრენის გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად;

ყ) საკურორტო ადგილი – ტერიტორია, რომელიც შეიცავს ბუნებრივ სამკურნალო-გამაჯანსაღებელ რესურსებს, ვარგისია მიზნობრივი გამოყენებისთვის და არ გააჩნია საკურორტო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

შ) საკურორტო საქმიანობა – ბუნებრივი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი რესურსების და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამოყენების ორგანიზება პროფილაქტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციისა და გაჯანსაღების მიზნით;

ჩ) საკურორტო საქმიანობის სუბიექტი – ნებისმიერი ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საკურორტო საქმიანობას ახორციელებს;

ც) სამთო გამყოლი – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სერტიფიცირებული ფიზიკური პირი, რომელიც მთებში ქვეითად გადაადგილებული ტურისტების მეგზურია, მომსახურებას ახორციელებს საქართველოს მთიანი ადგილების მასშტაბით და სამთო ტურის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად;

ძ) სარეწი – ნებისმიერი უძრავი ობიექტი ან მოძრავი ობიექტი, სადაც მოვაჭრე, ჩვეულებრივ, კომერციულ საქმიანობას ახორციელებს;

წ) საფეხმავლო გამყოლი – ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საფეხმავლო გამყოლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ახორციელებს ტურისტების მომსახურებას საქართველოს მასშტაბით. ეს მომსახურება არ მოიცავს ამ მუხლის „ღ“ და „ც“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ მომსახურებებს;

ჭ) ტერიტორიული კომპეტენციები – გეოგრაფიული ადგილის რელიეფის სირთულე, სიმაღლე ზღვის დონიდან, დახრილობა, რელიეფზე გადაადგილების ტექნიკური უნარები, გამოყენებული ტექნიკური აღჭურვილობა, გამყოლობის ტექნიკა, საფრთხეებისა და რისკების ხარისხი;

ხ) ტურისტული მომსახურების რეალიზაციის პუნქტი – ტურისტული პაკეტისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების რეალიზაციისთვის განკუთვნილი ნებისმიერი მოძრავი ქონება ან უძრავი ქონება, ვებგვერდი ან მსგავსი ონლაინგაყიდვების საშუალება, აგრეთვე სატელეფონო მომსახურება. თუ ვებგვერდი ან ონლაინგაყიდვების საშუალება წარმოდგენილია, როგორც ერთიანი პლატფორმა, იგი გაყიდვის ერთიანი პუნქტია;

ჯ) ტურისტული გიდი – ფიზიკური პირი, რომელიც დაკავებულია ტურისტების უშუალო მომსახურებით, კერძოდ, ტურის წინასწარი გეგმის ან პროგრამის, მარშრუტისა და დროში გაწერილი გეგმის თანახმად, ტურის შინაარსობრივად, ტექნიკურად და ლოჯისტიკურად წარმართვას უზრუნველყოფს;

ჰ) ტურისტული მომსახურება – ტურისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ მოგზაურობის დროს ტურისტების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მომსახურება. ტურისტული მომსახურება ხორციელდება ტურისტის ჯგუფური ან ინდივიდუალური მოგზაურობისას. ტურისტული პაკეტისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიზნებისთვის ტურისტული მომსახურებებია:

ჰ.ა) ტურისტის ტრანსპორტირება;

ჰ.ბ) განთავსების მომსახურება, რომელიც ტურისტის ტრანსპორტირების შემადგენელი ნაწილი არ არის და განკუთვნილი არ არის საცხოვრებელი მიზნებისთვის;

ჰ.გ) ავტომობილის, სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების (რომელიც არანაკლებ 25 კმ/სთ სიჩქარით გადაადგილდება, ან მოტოციკლის, რომლის მართვა A კატეგორიის მართვის მოწმობას მოითხოვს) გაქირავება;

ჰ.დ) ნებისმიერი სხვა ტურისტული მომსახურება, რომელიც ამ მუხლის „ჰ.ა“, „ჰ.ბ“ და „ჰ.გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ტურისტული მომსახურებების ნაწილი არ არის;

ჰ[1]) ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) – პირი, რომელიც ყიდის ან გასაყიდად სთავაზობს როგორც ტუროპერატორის მიერ შექმნილ ტურისტულ პაკეტს, ისე ცალკეულ ტურისტულ მომსახურებებს;

ჰ[2]) ტურიზმი – ადამიანების თავისუფალი, ნებაყოფლობითი, დროებითი გადაადგილება საცხოვრებელი ადგილის ფარგლების გარეთ დასვენების, გაჯანსაღების, კულტურული და შემეცნებითი ინტერესის დაკმაყოფილების, პირადი, საქმიანი ან/და პროფესიული მიზნით, რომელიც დაკავშირებული არ არის დანიშნულების ქვეყანაში ან დანიშნულების ადგილზე ანაზღაურებად საქმიანობასთან;

ჰ[3]) ტურისტული პაკეტი (შემდგომ – პაკეტი) – ორი ან ორზე მეტი სხვადასხვა ტურისტული მომსახურების ერთობლიობა, რომლებიც განკუთვნილია ერთი მოგზაურობისთვის, თუ სრულდება ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი პირობა. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ამ მუხლის „ჰ.ა“, „ჰ.ბ“ ან „ჰ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურება გაერთიანებულია ამავე მუხლის „ჰ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ერთ ან ერთზე მეტ ტურისტულ მომსახურებაში, თუ ეს ტურისტული მომსახურება (მომსახურებები) არ შეადგენს ტურისტული მომსახურებების ჯამური ღირებულების სულ მცირე 25 პროცენტს, რეკლამირებული არ არის და არც სხვა მხრივ არის ტურისტული მომსახურებების ერთობლიობის არსებითი ნაწილი ან არჩეული და შეძენილია მას შემდეგ, რაც ამ მუხლის „ჰ.ა“, „ჰ.ბ“ ან „ჰ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურების განხორციელება დაწყებულია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია შემდეგი პირობები:

ჰ[3].ა) ტურისტული მომსახურებები ერთმა მოვაჭრემ გააერთიანა, მათ შორის, ტურისტის მოთხოვნით ან მისი შერჩევით, ყველა

მომსახურებისთვის ერთი ხელშეკრულების გაფორმებამდე;

ჰ^{3}.ბ) ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებთან დადებულია ან დადებული არ არის ცალკე ხელშეკრულებები და ტურისტული მომსახურებები აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:

ჰ^{3}.ბ.ა) შეძენილია გაყიდვის ერთ პუნქტში და ტურისტული მომსახურებები შეირჩევა მანამ, სანამ ტურისტი თანხმობას განაცხადებს თანხის გადახდაზე;

ჰ^{3}.ბ.ბ) შეთავაზებულია, იყიდება ან ანგარიშსწორება ხდება ჯამური ღირებულების სანაცვლოდ;

ჰ^{3}.ბ.გ) რეკლამირებულია ან იყიდება „პაკეტის“ ან მსგავსი ტერმინის გამოყენებით;

ჰ^{3}.ბ.დ) გაერთიანებულია იმ ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომლის საფუძველზედაც მოვაჭრე ტურისტს ანიჭებს უფლებამოსილებას, სხვადასხვა ტურისტულ მომსახურებას შორის გააკეთოს არჩევანი;

ჰ^{3}.ბ.ე) შეძენილია სხვადასხვა მოვაჭრისგან ერთმანეთთან დაკავშირებული ონლაინდაჯავშნის პროცედურით, თუ მოვაჭრე, რომელთანაც დადებულია პირველი ხელშეკრულება, სხვა მოვაჭრეს/მოვაჭრეებს აცნობებს ტურისტის სახელს, გადახდის დეტალებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართს და ამ უკანასკნელ მოვაჭრესთან/მოვაჭრეებთან იდება ხელშეკრულება პირველი ტურისტული მომსახურების დაჯავშნის დადასტურებიდან არაუგვიანეს 24 საათისა;

ჰ^{4}) ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება – პაკეტის შესახებ ერთიანი ხელშეკრულება ან, თუ პაკეტი წარმოდგენილია ცალკეული ტურისტული მომსახურებების ხელშეკრულებებით, ამ ხელშეკრულებების ერთობლიობა;

ჰ^{5}) ტუროპერატორი – პირი, რომელიც ქმნის და ყიდის (ან გასაყიდად სთავაზობს) პაკეტს თვითონ ან ტურისტული სააგენტოს (ტურაგენტის) მეშვეობით ან მასთან ერთად ან ტურისტის შესახებ მონაცემებს აწვდის ტურისტული მომსახურების სხვა მიმწოდებელს ამ პირის თანხმობით, ამ მუხლის „ჰ^{3}.ბ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ჰ^{6}) უნივერსალური დიზაინი – პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც ყველა ადამიანს აძლევს მათზე წვდომის საშუალებას სპეციალური ადაპტირებისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე. უნივერსალური დიზაინი არ

გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვაგვარი ხელშეწყობის გამოყენებას;

ჰ[7]) ქცევის კოდექსი – შეთანხმება ან წესი, რომელიც კანონით შესასრულებლად სავალდებულო არ არის და ადგენს იმ მოვაჭრის ქცევას, რომელიც ქცევის კოდექსით ივალდებულებს თავს ერთი ან ერთზე მეტი კომერციული საქმიანობის სფეროში;

ჰ[8]) შიდა ტურიზმი – საქართველოს მოქალაქეებისა და რეზიდენტი პირების საქართველოს ფარგლებში მოგზაურობა;

ჰ[9]) შემომყვანი ტურიზმი – არარეზიდენტი პირების საქართველოს ფარგლებში მოგზაურობა;

ჰ[10]) შეუსაბამობა – პაკეტით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურებების შესრულების შეუძლებლობა ან არასათანადო შესრულება;

ჰ[11]) ღვინის ტურიზმი – ტურიზმის მიმართულება, რომლის განხორციელების დროსაც მოგზაურობის ძირითადი მიზანია ვენახებისა და მევენახეობის ტრადიციების, ღვინის ქარხნების, ენოთეკებისა და მარნების, ღვინის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საშუალებებისა და ობიექტების გაცნობა, აგრეთვე სხვადასხვა ჯიშისგან დამზადებული ღვინოების წარმოების ადგილზე შეძენა და მეღვინეობასთან დაკავშირებულ ტრადიციულ დღესასწაულებსა და საქმიანობაში მონაწილეობა;

ჰ[12]) ხანგამძლე მატარებელი – ნებისმიერი ინსტრუმენტი (მათ შორის, ელექტრონული ინსტრუმენტი), რომელიც ტურისტს/მომხმარებელსა და მოვაჭრეს საშუალებას აძლევს, პირადად მათთვის მიწოდებული ინფორმაცია მისი გამოყენებისთვის საჭირო დროის განმავლობაში შეინახონ იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა.

თავი II

ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა, ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება

მუხლი 3. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზანია ტურიზმის

ეკონომიკური სექტორის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა, ტურიზმის სფეროში დასაქმების ხელშეწყობა, რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

2. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

ა) ტურისტული საქმიანობის მხარდაჭერა, მისი განვითარებისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი და ეკონომიკური პირობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა;

ბ) ტურიზმის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და განვითარების ხელშეწყობა;

გ) საქართველოს, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

დ) ტურისტული რესურსების დაცვა ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის;

ე) შესაბამისი სამართლებრივი გარემოს შექმნა და ტურისტებისა და ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

ვ) ტურიზმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფა.

მუხლი 4. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილი ორგანოები

1. ტურიზმის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოებია: საქართველოს მთავრობა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კონტროლისადმი დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებენ ამ კანონით გათვალისწინებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

2. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ტურიზმის თითოეული სახეობისთვის კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვროს შეღავათები, დაადგინოს ტურისტული საქმიანობის სუბიექტების მიერ სტატუსის მოპოვების ან/და ამ

სუბიექტებისთვის სტატუსის გაუქმების წესი, პრინციპები და პირობები.

3. ტურიზმის სფეროში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილებებია:

ა) ტურიზმის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების კოორდინაცია;

ბ) საკანონმდებლო აქტების პროექტების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა ტურიზმის სფეროს საკანონმდებლო უზრუნველყოფის მიზნით;

გ) საქართველოს სამინისტროებს შორის უწყებათაშორისი თანამშრომლობის კოორდინაცია.

4. ტურიზმის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილებებია:

ა) საქართველოში უცხოელი ტურისტების მოზიდვა;

ბ) შიდა ტურიზმის სტიმულირება;

გ) ადამიანური რესურსებისა და მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;

დ) საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის აქტივების გამოყენებით კონკურენტუნარიანი და მდგრადი ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნა და არსებულთა დივერსიფიკაციის ხელშეწყობა უნიკალური ტურისტული მომსახურებების შეთავაზებით;

ე) საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული პროდუქტის, აგრეთვე საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე;

ვ) მონაცემების მოპოვება და ანალიზი ტურიზმის სექტორის განვითარების შესაძლებლობების შესაფასებლად;

ზ) ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

თ) საქართველოს ტურიზმის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უფლებამოსილია გამოსცეს ნორმატიული აქტები.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დებულებას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

7. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ტურიზმის სფეროში თავიანთ უფლებამოსილებებს ახორციელებენ ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 5. ტურიზმის მდგრადი განვითარება

1. საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, რაც გულისხმობს რესურსების მართვას იმგვარად, რომ შესაძლებელ იქნეს ეკონომიკური და სოციალური მიზნების მიღწევა ისე, რომ შენარჩუნებული იყოს კულტურული თვითმყოფადობა, არსებითი ეკოლოგიური პროცესები და ბიომრავალფეროვნება.

2. ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს:

ა) ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცებას და განხორციელების მონიტორინგს;

ბ) ქვეყნის ბუნებრივი რესურსების სხვადასხვა მიზნით გამოყენების პირობების განსაზღვრისას ტურისტული ინტერესებისა და პოტენციალის გათვალისწინებას;

გ) ტურიზმის სექტორის განვითარების დაგეგმვისა და მართვის პროცესში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვას;

დ) ტურისტული რესურსების რაციონალურ გამოყენებას;

ე) ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას, განათლებასა და ჩართულობას ტურიზმის განვითარების პროცესში, მათ შორის, ტურიზმის განვითარების პროგრამებში.

თავი III

ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვა

მუხლი 6. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია

1. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (შემდგომ – ორგანიზაცია) არის ადგილობრივ დონეზე ტურიზმის განვითარებისა და კონკრეტული ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციის ხელშესაწყობად კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსი.

2. ორგანიზაციის დამფუძნებლები ერთობლივად არიან მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტები) და ტურიზმის სფეროს კერძო სამართლის კომერციული იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) ფარგლებში დასაშვებია ფუნქციონირებდეს მხოლოდ ერთი ორგანიზაცია.

მუხლი 7. ორგანიზაციის მართვა და წარმომადგენლობა

1. ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს დამფუძნებლებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობას ორგანიზაციის მართვისა და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობაში.

2. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტს ორგანიზაციის მართვისა და წარმომადგენლობით ორგანოებში უნდა ჰყავდეთ თითო წევრი. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას, მუნიციპალიტეტსა და კერძო სექტორს აქვთ თითო ხმა. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით. თუ კერძო სექტორს რამდენიმე სუბიექტი წარმოადგენს, კერძო სექტორის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობა.

მუხლი 8. ორგანიზაციის ფუნქციები

ორგანიზაციის ფუნქციებია:

ა) ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად განხორციელება;

ბ) ტურისტული პროდუქტების შექმნა-პოპულარიზაცია და განვითარება;

გ) ტურიზმის სფეროში პროფესიული გადამზადებისა და ტურისტული მომსახურების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობის განხორციელება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;

დ) ტურისტული დანიშნულების ადგილზე ტურიზმის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა;

ე) ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის, ერთობლივი ტურისტული პროდუქტის განვითარებისა და მარკეტინგის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება;

ვ) ტურისტების საინფორმაციო უზრუნველყოფა (ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი).

მუხლი 9. ორგანიზაციის სტატუსის მინიჭება

1. ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ანიჭებს ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსს. ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

2. ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადება წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას. ამ განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ბ) ორგანიზაციის წესდება;

გ) ორგანიზაციისა და ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის განვითარების კონცეფციები;

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის

ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით გათვალისწინებული სხვა, დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

3. სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება 1 თვის ვადაში. სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველია განმცხადებლის მიერ ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა. სტატუსის მინიჭების შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ორგანიზაციას აღრიცხავს უწყებრივ რეესტრში. რეესტრის მონაცემები ქვეყნდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდზე.

4. სახელწოდების „ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მიანიჭა ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსი. თუ პირი არამართლზომიერად იყენებს ამ სახელწოდებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას უფლება აქვს, მოსთხოვოს მას ამ სახელწოდების გამოყენების შეწყვეტა.

5. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სახელწოდების გამოყენებით საქმიანობის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების გარეშე იწვევს ამ კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას.

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია შეიმუშავებს ორგანიზაციის საქმიანობის წესებს/სტანდარტებს, პრინციპებსა და რეკომენდაციებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა. მათი დარღვევა შეიძლება გახდეს ორგანიზაციის სტატუსის შეჩერების/გაუქმების საფუძველი.

მუხლი 10. ორგანიზაციის დაფინანსება

ორგანიზაციის დაფინანსების წყაროებია:

ა) ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ნებაყოფლობითი შემოწირულებები და საწევრო გადასახდელი;

ბ) შესაბამისი პროგრამების ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;

გ) გრანტები და სხვა შემოწირულებები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

თავი IV

ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეგისტრაცია, ტურისტული პაკეტისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებები

მუხლი 11. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების რეგისტრაცია

1. ტურისტული საქმიანობის სუბიექტები არიან: ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი), დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, გრძელვადიანი დასვენებისა და დროის განაწილების ხელშეკრულებების მიმწოდებელი, ტურისტული გიდი, საფეხმავლო გამყოლი, რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლები, კერძოდ, სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი.

2. ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ მონაცემების აღრიცხვისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

3. ტურისტული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია შესაბამისი საქმიანობის დაწყების, შეწყვეტის ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი რეგისტრირებული მონაცემის ცვლილების შემთხვევაში ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში სათანადო ცვლილების შესატანად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი ინფორმაცია შეატყობინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ვალდებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს –

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას მართვის ავტომატიზებული საშუალებებით ელექტრონულად მიაწოდოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრირებული ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ ინფორმაცია.

მუხლი 12. საქართველოში შემომსვლელი ტურისტის სავალდებულო დაზღვევა

საქართველოში შემომსვლელ ტურისტს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევა.

მუხლი 13. ტურისტული პაკეტისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებები და გამონაკლისები

1. ამ კანონის მე-14–26-ე მუხლები შეეხება პაკეტებს, რომლებსაც მოვაჭრეები ყიდიან ტურისტებზე ან სთავაზობენ მათ ფასდაკლებით, და მოვაჭრეების მიერ ტურისტებისთვის უზრუნველყოფილ დაკავშირებულ ტურისტულ მომსახურებებს.

2. ამ კანონის მე-14–26-ე მუხლების მოქმედება არ ვრცელდება პაკეტებსა და დაკავშირებულ ტურისტულ მომსახურებებზე, რომლებიც:

ა) გრძელდება 24 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი მოიცავს ღამის თევით განთავსებას;

ბ) შეთავაზებულია არარეგულარულად, არაკომერციული მიზნით და მხოლოდ ტურისტების მცირე ჯგუფისთვის;

გ) შესყიდულია მოვაჭრესა და სხვა ფიზიკურ პირს ან იურიდიულ პირს შორის დადებული საქმიანი მოგზაურობის შესახებ ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე და დაკავშირებულია პირის საქმიანობასთან, პროფესიასთან, ვაჭრობასთან.

3. ტუროპერატორის ან დაკავშირებული ტურისტული მომსახურების გამყიდველი მოვაჭრის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მოქმედებს ექსკლუზიურად, როგორც ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი, შუამავალი, ან მოქმედებს ნებისმიერი სხვა სტატუსით, ან რომ პაკეტი ან დაკავშირებული ტურისტული მომსახურება არ წარმოადგენს პაკეტს ან დაკავშირებულ ტურისტულ მომსახურებას, არ ათავისუფლებს ტუროპერატორს ან მოვაჭრეს ამ თავით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან.

4. ტურისტის არცერთი სახელშეკრულებო შეთანხმება ან განცხადება, რომელიც პირდაპირ ან ირიბად უარყოფს ან ზღუდავს ამ კანონის მე-14–26-ე მუხლებით ტურისტისთვის გადაცემულ უფლებებს ან რომლის მიზანია იმავე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების უგულებელყოფა, სავალდებულო არ უნდა იყოს ტურისტისთვის.

5. ამ კანონის მე-14–26-ე მუხლებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო მოთხოვნები გავლენას არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგად სახელშეკრულებო სამართალზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება.

მუხლი 14. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ან სხვა შესაბამის შეთავაზებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების დადებამდე ტუროპერატორმა, ტურისტულმა სააგენტომ (ტურაგენტმა) ან სხვა მოვაჭრემ ტურისტს უნდა მიაწოდოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტანდარტული ფორმების შესახებ დადგენილებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, კონკრეტული პაკეტის შემთხვევაში ტურისტს დამატებით უნდა მიეწოდოს შემდეგი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია:

ა) ტურისტული მომსახურების ძირითადი მახასიათებლების შესახებ, კერძოდ:

ა.ა) დანიშნულების ადგილი მარშრუტისა და პერიოდის (თარიღების) მითითებით, ხოლო თუ პაკეტი მოიცავს განთავსების მომსახურებას, – გასათევი ღამეების რაოდენობა;

ა.ბ) გამოსაყენებელი სატრანსპორტო საშუალებების მახასიათებლები და მათი კატეგორია, დანიშნულების ადგილი, გამგზავრებისა და დაბრუნების ადგილები, თარიღები და დრო, შუალედური გაჩერებების დრო და ადგილები. თუ გამგზავრებისა და დაბრუნების თარიღები ზუსტად დადგენილი არ არის, ტურისტს უნდა ეცნობოს მიახლოებითი თარიღები;

ა.გ) განთავსების საშუალების ადგილმდებარეობა, ძირითადი მახასიათებლები და კატეგორია დანიშნულების ქვეყნის რეგულაციების შესაბამისად;

ა.დ) კვების განრიგი;

ა.ე) ვიზიტები, ექსკურსიები ან სხვა მომსახურებები, რომლებიც პაკეტის შეთანხმებულ ჯამურ ღირებულებაში შედის;

ა.ვ) ჯგუფის წევრების სავარაუდო რაოდენობა, თუ ტურისტული მომსახურება ტურისტს მიეწოდება, როგორც ჯგუფის წევრს;

ა.ზ) საკომუნიკაციო ენა, რომელზედაც ტურისტული მომსახურებები იქნება გაწეული;

ა.თ) ტურისტის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი საჭიროებების გათვალისწინებით, ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა მოგზაურობა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

ბ) ტუროპერატორის ან/და ტურისტული სააგენტოს (ტურაგენტის) სახელი, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

გ) პაკეტის ჯამური ღირებულების შესახებ, გადასახადებისა და ყველა სხვა დამატებითი ხარჯის ჩათვლით, ხოლო თუ ხელშეკრულების დადებისას აღნიშნული ხარჯების გონივრული გაანგარიშება წინასწარ შეუძლებელია, ტურისტს უნდა ეცნობოს იმის თაობაზე, რომ მას შეიძლება წარმოეშვას დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება;

დ) გადახდის მეთოდების, მათ შორის, ნებისმიერი თანხის ან ღირებულების ნაწილის, რომელსაც ტურისტი წინასწარ იხდის, და დარჩენილი თანხის გადახდის, ან ტურისტის მიერ ფინანსური გარანტიების წარდგენის გრაფიკის შესახებ;

ე) პაკეტის დასაწყებად საჭირო პირების მინიმალური რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, პაკეტის დაწყებამდე რამდენი დღით ადრე შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულება ამ კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ სათანადო რაოდენობის პირი არ შეიკრიბა;

ვ) პასპორტთან ან/და ვიზასთან (მათ შორის, ვიზის მისაღებად საჭირო დროის შესახებ ინფორმაცია) და დანიშნულების ქვეყანაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნების თაობაზე;

ზ) ტურისტის უფლების შესახებ, პაკეტის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ;

თ) ნებაყოფლობითი ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ, რომელიც ფარავს ტურისტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით გამოწვეულ ხარჯებს ან ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ხარჯებს, მათ შორის, რეპატრიაციის,

უბედური შემთხვევის, ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში;

ი) საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტის ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევის პირობებისა და წესის შესახებ, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი სხვა სავალდებულო დაზღვევის თაობაზე, რომელიც მასზე გავრცელდება საქართველოში ყოფნის პერიოდში.

3. თუ ხელშეკრულება იდება ტელეფონით, ტურისტს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით.

4. ამ კანონის მე-2 მუხლის „ჰ[3].ბ.ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელიც პაკეტს ყიდის, ვალდებულია შეატყობინოს ტურისტს, რომ პირველი მოვაჭრისგან მომსახურების შეძენის დადასტურებიდან 24 საათის განმავლობაში მეორე მოვაჭრისგან მომსახურების შეძენა ერთობლიობაში პაკეტად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში თითოეულმა მათგანმა ტურისტს უნდა მიაწოდოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს გარკვევით, ამომწურავად და თვალსაჩინოდ. თუ აღნიშნული ინფორმაცია ტურისტს წერილობით მიეწოდება, შესაძლებელი უნდა იყოს მისი ადვილად წაკითხვა და აღქმა.

მუხლი 15. წინასახელშეკრულებო ინფორმაციის სავალდებულო ხასიათი და ხელშეკრულების დადება

1. ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „გ“–„ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და იგი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ტუროპერატორი ან/და ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) ვალდებულია ხელშეკრულების დადებამდე ტურისტს მისთვის მკაფიო და გასაგები ფორმით აცნობოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

2. თუ ტუროპერატორმა ან/და ტურისტულმა სააგენტომ (ტურაგენტმა) ტურისტს არ მიაწოდა ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია დამატებითი ხარჯის შესახებ, მას არ წარმოეშობა დამატებითი ხარჯების გაწევის ვალდებულება.

მუხლი 16. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შინაარსი და პაკეტის დაწყებამდე წარსადგენი დოკუმენტები

1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები ფორმით. ამ ხელშეკრულების დადებისთანავე ტუროპერატორი ან/და ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) ვალდებულია ტურისტს მიაწოდოს ხელშეკრულების ასლი ან მისი დადების დამადასტურებელი ინფორმაცია ხანგამძლე მატარებელზე. ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების ასლი მატერიალური ფორმით, თუ ხელშეკრულება დაიდო მხარეების ფიზიკური თანდასწრებით.

2. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება, გარდა ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა, უნდა შეიცავდეს:

ა) ტურისტის სპეციალური მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას, რომლებსაც დაეთანხმა ტუროპერატორი;

ბ) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტუროპერატორი:

ბ.ა) პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ტურისტული მომსახურების სათანადო შესრულებისთვის ამ კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად;

ბ.ბ) ვალდებულია სირთულეების წარმოშობისას უზრუნველყოს ტურისტის დახმარება ამ კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად;

გ) უზრუნველყოფის გამცემის საფირმო სახელწოდებასა და საკონტაქტო მონაცემებს, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო მონაცემებს (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

დ) ტუროპერატორის ადგილობრივი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირის ან სხვა სამსახურის სახელწოდებას, მისამართს, ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და შესაბამის შემთხვევაში – ფაქსის ნომერს, რომლებიც ტურისტს ტუროპერატორთან სწრაფად დაკავშირების და მასთან ეფექტიანი კომუნიკაციის შესაძლებლობას მისცემს, რათა ტურისტს შეეძლოს დახმარების მოთხოვნა სირთულეების არსებობისას ან საჩივრის წარდგენა, თუ პაკეტის პირობები სათანადოდ არ სრულდება;

ე) ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს გონივრულ ვადაში აცნობოს პაკეტის პირობების

ნებისმიერი დარღვევის შესახებ;

ვ) არასრულწლოვანის მოგზაურობის შემთხვევაში – არასრულწლოვანის ან განთავსების ადგილზე მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემებს, თუ არასრულწლოვანს არ ახლავს მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი და პაკეტი მოიცავს განთავსებას;

ზ) საჩივრის განხილვის შიდა პროცედურებისა და მომხმარებელთა დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის შესახებ ინფორმაციას;

თ) ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტურისტს უფლება აქვს, პაკეტი გადასცეს მესამე პირს ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად.

3. ამ კანონის მე-2 მუხლის „ჰ^{3}.ბ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოვაჭრე, რომელსაც გადაეცემა ტურისტის შესახებ მონაცემები, ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს, რომ მან ტურისტთან დადო ხელშეკრულება, რითაც შეიქმნა პაკეტი. მოვაჭრე ვალდებულია ტუროპერატორს სრულად წარუდგინოს ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ტუროპერატორისთვის ვალდებულებების შესასრულებლად. ტუროპერატორი პაკეტის შექმნის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ტურისტს წერილობით აწვდის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ტურისტს უნდა მიეწოდოს მკაფიო და გასაგები ფორმით.

5. პაკეტის დაწყებამდე გონივრულ ვადებში ტუროპერატორმა ტურისტი უნდა უზრუნველყოს ბილეთებით, დაჯავშნის დამადასტურებელი დოკუმენტითა და სხვა შესაბამისი დოკუმენტებით, აგრეთვე გამგზავრების განრიგის, ფრენაზე რეგისტრაციის ბოლო ვადის, მგზავრობისას შუალედური გაჩერებების განრიგის, დამაკავშირებელი ტრანსპორტისა და ჩასვლის მიახლოებითი დროის შესახებ ინფორმაციით.

6. ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს გადასცეს დაზღვევის პოლისი ან საბანკო უზრუნველყოფა, რომლის თანახმადაც, სადაზღვევო ორგანიზაცია/მზღვეველი ან ფინანსური ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას, ტურისტს გადაუხადოს თანხა პაკეტის მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია ტუროპერატორის გადახდისუუნარობით. უზრუნველყოფაში მითითებული უნდა იყოს უზრუნველყოფის გამცემი სუბიექტის შესახებ მონაცემები, მათ შორის, საიდენტიფიკაციო ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონტაქტო

მონაცემები, აგრეთვე სხვა აუცილებელი მონაცემი, რომელიც საჭიროა უზრუნველყოფის გამოსაყენებლად.

7. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს წერილობით, ქართულ ენაზე და შეიძლება შედგენილი იყოს სხვა ენაზედაც, რომელსაც ტურისტი ფლობს.

მუხლი 17. მტკიცების ტვირთი

ტურისტისთვის ამ თავით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვაჭრეს.

მუხლი 18. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების მესამე პირისთვის გადაცემა

1. ტურისტს შეუძლია პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორისთვის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე პაკეტი გადასცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების პირობებს. ტურისტი ვალდებულია სულ მცირე 7 კალენდარული დღით ადრე ტუროპერატორს წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია პაკეტის მესამე პირისთვის გადაცემის შესახებ.

2. ტუროპერატორს შეუძლია მოითხოვოს იმ დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობამ გამოიწვია. ტუროპერატორი ვალდებულია შეატყობინოს ტურისტს მის ნაცვლად მოგზაურობაში მესამე პირის მონაწილეობის (ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების მესამე პირისთვის გადაცემის) საფასურის შესახებ, რომლის გადახდისთვის პაკეტის გადამცემი და მიმღები პირები ერთობლივად და ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელი. აღნიშნული ხარჯები არ უნდა იყოს არათანაზომიერი და არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების გადაცემისთვის დადგენილ რეალურ ღირებულებას.

3. ტუროპერატორი ვალდებულია პაკეტის გადამცემს მიაწოდოს დამატებითი საფასურის, დანახარჯებისა და გადაცემით გამოწვეული სხვა ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 19. პაკეტის ღირებულების ცვლილება

1. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების დადების შემდეგ

ტუროპერატორის მიერ პაკეტის ღირებულების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებაში პირდაპირ არის მითითებული:

ა) ტუროპერატორის უფლების შესახებ, გაზარდოს პაკეტის ღირებულება და დადგენილია ღირებულების შეცვლისა და გამოთვლის წესი;

ბ) ტურისტის უფლების შესახებ, მოითხოვოს პაკეტის ღირებულების შემცირება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების წარმოშობისას.

2. პაკეტის ღირებულების გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ტურისტის გადაყვანის ღირებულება გაიზარდა საწვავის ან ენერგიის სხვა წყაროების ღირებულების გაზრდის გამო;

ბ) გაიზარდა კონკრეტული სატრანსპორტო და გადაზიდვის მომსახურებების, აგრეთვე საჰაერო ხომალდის დაშვების, ტურისტების ჩასხდომა-გადმოსხდომის, პორტებსა და აეროპორტებში ტვირთის გადატანა-გადაზიდვის გადასახადები;

გ) გაიზარდა პაკეტით გათვალისწინებული სავალუტო გაცვლითი კურსი.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების გამო პაკეტის ღირებულების ზრდა 8 პროცენტზე მეტია, გამოიყენება ამ კანონის მე-20 მუხლის მე-2–მე-6 პუნქტების მოთხოვნები.

4. პაკეტის ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტუროპერატორი პაკეტის დაწყებამდე სულ მცირე 20 დღით ადრე ტურისტს წერილობით შეატყობინებს ღირებულების გაზრდის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება უნდა შეიცავდეს შესაბამის დასაბუთებას და ახალი ღირებულების გამოანგარიშებას.

5. თუ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ითვალისწინებს ღირებულების გაზრდის შესაძლებლობას, ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ტურისტს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში აგრეთვე მოითხოვოს ღირებულების შემცირება, თუკი ღირებულება შემცირდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6. პაკეტის ღირებულების შემცირების შემთხვევაში ტუროპერატორს უფლება აქვს, ტურისტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან გამოქვითოს ფაქტობრივად გაწეული ადმინისტრაციული ხარჯი. ტურისტის მოთხოვნით

ტუროპერატორმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ადმინისტრაციული ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

მუხლი 20. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების პირობების სხვა ცვლილებები

1. პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი ცვლილება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მას ამ ხელშეკრულებით მიენიჭა ცალმხრივი ცვლილების უფლება;

ბ) შესაბამისი ცვლილება უმნიშვნელოა;

გ) იგი შესაბამისი ცვლილების შესახებ ტურისტს შეატყობინებს წერილობით, მკაფიო და გასაგები ფორმით.

2. თუ პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორი იძულებულია მნიშვნელოვნად შეცვალოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლები, კერძოდ, ამ კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები, ან ვერ ასრულებს იმ სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ან ამავე კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პაკეტის ღირებულებას 8 პროცენტზე მეტით ზრდის, ტურისტს ტუროპერატორის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უფლება აქვს:

ა) დაეთანხმოს შეთავაზებულ ცვლილებებს;

ბ) შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე.

3. თუ ტურისტი წყვეტს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებას ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ტუროპერატორს შეუძლია შესთავაზოს მას იმავე ან უკეთესი ხარისხის პაკეტი, ხოლო ტურისტს უფლება აქვს, მიიღოს შეთავაზება ან უარი განაცხადოს მასზე.

4. ტუროპერატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით, მკაფიო და გასაგები ფორმით ტურისტს შეატყობინოს:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტითა და შესაბამის შემთხვევაში ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ღირებულების ცვლილებისა და ამ ცვლილების ღირებულებაზე გავლენის შესახებ ინფორმაცია;

ბ) იმ გონივრული ვადის შესახებ, რა ვადაშიც ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს აცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) იმის შესახებ, რომ ტურისტის მიერ ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ტურისტი ეთანხმება შესაბამის ცვლილებებს;

დ) შეცვლილი პაკეტის ღირებულების შესახებ ინფორმაცია შესაბამისი გარემოებების არსებობისას.

5. თუ პაკეტის დაწყებამდე ტუროპერატორი იძულებულია მნიშვნელოვნად შეცვალოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებლები და ტურისტი წყვეტს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებას, ტუროპერატორს შეუძლია შესთავაზოს მას იმავე ან უკეთესი ხარისხის პაკეტი, ხოლო ტურისტს უფლება აქვს, მიიღოს შეთავაზება ან უარი განაცხადოს მასზე. ამ შემთხვევაში ტურისტი უფლებამოსილია მოითხოვოს შესაბამისი ღირებულების შემცირება, თუ შეთავაზებული პაკეტის ახალი პირობები ან ახალი პაკეტის პირობები წინა პაკეტზე დაბალი ხარისხის ან ღირებულებისაა.

6. თუ ტურისტი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად წყვეტს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებას და არ ეთანხმება შეცვლილ პაკეტს, ტუროპერატორი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა, ტურისტს დაუბრუნოს ამ ხელშეკრულების თანახმად გადახდილი პაკეტის ღირებულება ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2–მე-6 პუნქტების შესაბამისად.

მუხლი 21. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტა და პაკეტის დაწყებამდე უარის თქმის უფლება

1. ტურისტს შეუძლია შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება პაკეტის დაწყებამდე ნებისმიერ დროს. თუ ტურისტი ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებას წყვეტს ამ პუნქტის შესაბამისად, იგი ვალდებულია ტუროპერატორს გადაუხადოს ხელშეკრულების შეწყვეტის სათანადო და დასაბუთებული საფასური. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს მისი შეწყვეტისთვის გონივრულ და სტანდარტულ საფასურს ხელშეკრულების შეწყვეტიდან პაკეტის დაწყებამდე არსებული დროის შესაბამისად. შეწყვეტის სტანდარტული საფასურის არარსებობის შემთხვევაში შეწყვეტის საფასურის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს პაკეტის ღირებულებას, ხარჯების დანაზოგისა და

ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფის შემოსავლის გამოკლებით. ტურისტის მოთხოვნით ტუროპერატორმა უნდა წარადგინოს შეწყვეტის საფასურის ოდენობის დასაბუთება.

2. მიუხედავად ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ტურისტს უფლება აქვს, შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება პაკეტის დაწყებამდე საფასურის გადახდის გარეშე გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, რომლებიც წარმოიშობა დანიშნულების ადგილზე ან მის უშუალო სიახლოვეს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე ან მგზავრების გადაყვანაზე. ამ პუნქტის შესაბამისად ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ტურისტს უფლება აქვს, სრულად აუნაზღაურდეს ნებისმიერი თანხა, რომელიც მან პაკეტის ფარგლებში გადაიხადა, თუმცა მას არ აქვს დამატებითი კომპენსაციის მიღების უფლება.

3. ტუროპერატორს უფლება აქვს, შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება, სრულად დაუბრუნოს ტურისტს პაკეტის ღირებულება, მაგრამ მას არ დაეკისრება დამატებითი კომპენსაციის გადახდა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) ტურისტული მომსახურების გასაწევად ტურისტების რაოდენობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირთა მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლებია და ტუროპერატორი ტურისტს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აცნობებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, მაგრამ:

ა.ა) პაკეტის დაწყებამდე არაუგვიანეს 20 დღისა, თუ მოგზაურობის ვადა 6 დღეზე მეტია;

ა.ბ) პაკეტის დაწყებამდე არაუგვიანეს 7 დღისა, თუ მოგზაურობის ვადა 2 დღიდან 6 დღემდეა;

ა.გ) პაკეტის დაწყებამდე არაუგვიანეს 48 საათისა, თუ მოგზაურობის ვადა 2 დღეზე ნაკლებია;

ბ) ტუროპერატორი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას ვერ ასრულებს მისგან დამოუკიდებელი მიზეზით, გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ტურისტს შეატყობინებს პაკეტის დაწყებამდე.

4. ტუროპერატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული თანხა დაუბრუნოს ტურისტს ან ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აანაზღაუროს ტურისტის ან მისი სახელით მოქმედი პირის მიერ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტასთან

დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გამოკლებით. აღნიშნული თანხები ტურისტს უნდა დაუბრუნდეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 14 დღისა.

5. ტურისტს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას სარეწის გარეთ დადებულ ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებაზე მისი დადებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 22. პასუხისმგებლობა ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის

1. ტუროპერატორი პასუხისმგებელია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისთვის, მიუხედავად იმისა, ეს მომსახურება გაწეულია უშუალოდ მის მიერ თუ სხვა ტურისტული მომსახურების გამწევი პირის მიერ.

2. საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ტურისტი ვალდებულია ტუროპერატორს გონივრულ ვადაში აცნობოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აღმოჩენილი შეუსაბამობის შესახებ.

3. თუ რომელიმე ტურისტული მომსახურება არ შესრულდა ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, ტუროპერატორი ვალდებულია გამოასწოროს შეუსაბამობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

ა) მისი აღმოფხვრა შეუძლებელია;

ბ) მისი აღმოფხვრა მოითხოვს არაპროპორციულად დიდ ხარჯებს, შეუსაბამობის ფარგლებისა და ტურისტული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით.

4. თუ ტუროპერატორი შეუსაბამობას არ აღმოფხვრის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიზეზების გამო, გამოიყენება ამ კანონის 23-ე მუხლი.

5. თუ ტუროპერატორი შეუსაბამობას არ აღმოფხვრის ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ტურისტს შეუძლია თავად აღმოფხვრას შეუსაბამობა და მოითხოვოს საამისოდ გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. გონივრული ვადის განსაზღვრა აუცილებელი არ არის, თუ ტუროპერატორი უარს იტყვის შეუსაბამობის აღმოფხვრაზე ან ტურისტი

დაინტერესებულია შეუსაბამობის დაუყოვნებელი აღმოფხვრით.

6. თუ ტურისტული მომსახურებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, გამგზავრების ადგილზე დაბრუნების მომსახურება, ვერ სრულდება ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შესაბამისად, ტუროპერატორმა პაკეტის გასაგრძელებლად ტურისტს დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე უნდა შესთავაზოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურების მსგავსი ან უფრო მაღალი ხარისხის ალტერნატიული ტურისტული მომსახურებები.

7. თუ ტუროპერატორი ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების სახით ტურისტს უფრო დაბალი ხარისხის პაკეტს შესთავაზებს, ტუროპერატორი ვალდებულია ტურისტს შესაბამისად შეუმციროს პაკეტის ღირებულება. ტურისტს შეუძლია უარი თქვას შეთავაზებულ ალტერნატიულ ტურისტულ მომსახურებებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არსებითად განსხვავდება ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით შეთანხმებული ტურისტული მომსახურებისგან ან ტურისტული მომსახურებისთვის შემცირებული ღირებულება არაადეკვატურია.

8. თუ შეუსაბამობა არსებით გავლენას ახდენს პაკეტის შესრულებაზე და ტუროპერატორი ვერ აღმოფხვრის მას ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ტურისტს შეუძლია შეწყვიტოს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულება ხელშეკრულების შეწყვეტის საფასურის გადახდის გარეშე და შესაბამის შემთხვევაში მოითხოვოს ღირებულების შემცირება ან/და ზიანის ანაზღაურება ამ კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად.

9. თუ ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების განხორციელება შეუძლებელია ან ტურისტი უარს აცხადებს შეთავაზებულ ალტერნატიულ ტურისტულ მომსახურებებზე ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ტურისტს უფლება აქვს, მიიღოს ღირებულების შემცირება ან/და ზიანის კომპენსაცია ტურისტული პაკეტის ხელშეკრულების შეწყვეტის გარეშე ამ კანონის 23-ე მუხლის შესაბამისად.

10. თუ პაკეტი მგზავრების გადაყვანას ითვალისწინებს, ტუროპერატორმა ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაუყოვნებლივ და ტურისტისთვის დამატებითი ხარჯის დაკისრების გარეშე უნდა განახორციელოს მისი რეპატრიაცია შესაბამისი ტრანსპორტით.

11. თუ გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო შეუძლებელია ტურისტის დაბრუნების უზრუნველყოფა პაკეტით გათვალისწინებული შეთანხმების შესაბამისად, ტუროპერატორს ეკისრება ეკვივალენტური კატეგორიის (თუ ეს შესაძლებელია) განთავსების

საშუალების ხარჯები – მაქსიმუმ 3 ღამე თითოეულ ტურისტზე.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების შეზღუდვა არ ვრცელდება გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსა და მის თანმხლებ ნებისმიერ პირზე, ორსულ ქალსა და თანმხლები პირის გარეშე მყოფ მცირეწლოვანზე, აგრეთვე სპეციფიკური სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე პირებზე, თუ ტუროპერატორს მათი განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ ეცნობა პაკეტის დაწყებამდე არაუგვიანეს 48 საათისა.

მუხლი 23. ღირებულების შემცირება და ზიანის ანაზღაურება

1. ტურისტს უფლება აქვს, მოითხოვოს ღირებულების შემცირება იმ პერიოდის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც არსებობდა შეუსაბამობა, თუ იგი გამოწვეული არ არის ტურისტის ბრალით.

2. ტურისტს უფლება აქვს, ტუროპერატორისგან მიიღოს სათანადო კომპენსაცია იმ ნებისმიერი ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა გასაწევი მომსახურების შეუსაბამობის გამო. კომპენსაცია გადახდილი უნდა იქნეს გონივრულ ვადაში.

3. ტურისტს უფლება არ აქვს, მიიღოს კომპენსაცია ზიანისთვის, თუ ტუროპერატორი დაადასტურებს, რომ შეუსაბამობა გამოწვეულია ერთ-ერთი შემდეგი მიზეზით:

ა) ტურისტის ბრალით;

ბ) იმ მესამე მხარის ბრალით, რომელიც დაკავშირებული არ არის პაკეტით გათვალისწინებული ტურისტული მომსახურების გაწევასთან, და ამ ტუროპერატორს არ შეეძლო მისი გათვალისწინება ან/და თავიდან აცილება;

გ) გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებებით.

4. ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით ტურისტისთვის მიყენებული ზიანის გამო ტუროპერატორს შეუძლია შეიზღუდოს პასუხისმგებლობა პაკეტის ღირებულების სამმაგი ოდენობით. დაუშვებელია პასუხისმგებლობის შეზღუდვის დაწესება, თუ ზიანმა გამოიწვია ფიზიკური დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ტუროპერატორის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი მოქმედებით.

5. ამ კანონით გათვალისწინებული ტურისტის უფლება, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ან პაკეტის ღირებულების შემცირება, არ მოქმედებს ტურისტის იმ უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სპეციალური

ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით. შესაბამისად, ტურისტს შეუძლია წარადგინოს ამ თავითა და სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული მოთხოვნები. თუ ტურისტმა მიიღო კომპენსაცია ან მას შეუმცირდა პაკეტის ღირებულება ამ თავითა და სპეციალური ნორმატიული აქტებით ან საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის საფუძველზე, გადაჭარბებული კომპენსაციის თავიდან ასაცილებლად უნდა მოხდეს ანაზღაურებების ურთიერთგაქვითვა.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადაა 2 წელი.

მუხლი 24. ტუროპერატორთან დაკავშირება ტურისტული სააგენტოს (ტურაგენტის) საშუალებით

ტურისტს უფლება აქვს, პაკეტის შესრულებასთან დაკავშირებული შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები პირდაპირ გაუგზავნოს ტურისტულ სააგენტოს (ტურაგენტს), რომელთანაც იგი შეიძინა. ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) ვალდებულია აღნიშნული შეტყობინებები, მოთხოვნები და საჩივრები დაყოვნების გარეშე გადაუგზავნოს ტუროპერატორს. ტურისტული სააგენტოსთვის (ტურაგენტისთვის) გაგზავნილი შეტყობინება ტუროპერატორისთვის გაგზავნილად მიიჩნევა.

მუხლი 25. დახმარების ვალდებულება

1. ტუროპერატორი ვალდებულია ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაეხმაროს ტურისტს მოგზაურობის დროს წარმოშობილი სირთულეებისას, მათ შორის, ამ კანონის 22-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ:

ა) მიაწოდოს ტურისტს ინფორმაცია ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების, ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებისა და საკონსულო დახმარების შესახებ;

ბ) დაეხმაროს ტურისტს კომუნიკაციის დამყარებაში და ალტერნატიული ტურისტული მომსახურების მოძებნაში;

გ) ტურისტს, თუ იგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია ან გადაადგილების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია, მიაწოდოს ინფორმაცია ინკლუზიური ტურისტული მომსახურებების და მათი

ხელმისაწვდომობის შესახებ, აგრეთვე სურვილის შემთხვევაში მიაწოდოს გადამოწმებული ინფორმაცია მისი საჭიროებების მიხედვით გონივრული მისადაგებისა და ალტერნატიული ტურისტული მომსახურებების თაობაზე.

2. თუ საფრთხე ან/და მნიშვნელოვანი დაბრკოლება გამოწვეულია ტურისტის დაუდევრობით ან მისი განზრახი ქმედებით, ტუროპერატორს უფლება აქვს, დახმარების გაწევისთვის ტურისტს მოსთხოვოს შესაბამისი საფასურის გადახდა. აღნიშნული საფასური არ უნდა აღემატებოდეს ტუროპერატორის მიერ ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 26. პასუხისმგებლობა დაჯავშნის დროს დაშვებული შეცდომისთვის

მოვაჭრე პასუხისმგებელია მის სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზისთვის, რომელიც მისი მიზეზითაა გამოწვეული. მოვაჭრე პასუხისმგებელი არ არის იმ შეცდომისთვის, რომელიც დაჯავშნისას დაშვებულ იქნა ტურისტის მიზეზით ან გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო.

თავი V

გადახდისუუნარობისგან დაცვა

მუხლი 27. ტუროპერატორის გადახდისუუნარობის შედეგად დამდგარი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა

1. თუ პაკეტით გათვალისწინებული მომსახურებები მთლიანად ან ნაწილობრივ არ ხორციელდება ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო, ტუროპერატორს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ტურისტის მიერ წინასწარ გადახდილი თანხის ასანაზღაურებლად. თუ პაკეტი მოიცავს ტურისტის გადაყვანას, აღნიშნული ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) აგრეთვე უნდა ფარავდეს შესაძლო რეპატრიაციის ხარჯებს. თუ ტუროპერატორი რეგისტრირებული არ არის საქართველოში ან ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მან აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ამ კანონის შესაბამისად.

2. ტუროპერატორის უზრუნველყოფით სარგებლობა შეუძლიათ ტურისტებს, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და გამგზავრების

ადგილისა ან პაკეტის გაყიდვის ადგილისა, აგრეთვე უზრუნველყოფის გამცემი ორგანიზაციის განთავსების ადგილისა.

3. თუ პაკეტის შესრულება ვერ ხერხდება ტუროპერატორის გადახდისუუნარობის გამო, რეპატრიაცია და, საჭიროების შემთხვევაში, რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსება ხორციელდება ფინანსური გარანტიის (უზრუნველყოფის) მეშვეობით და უსასყიდლოდ. თუ ტურისტული მომსახურებები არ განხორციელებულა, ანაზღაურება ხდება ტურისტის მოთხოვნით, გონივრულ ვადაში.

4. ამ კანონის მიზნებისთვის გადახდისუუნაროდ მიიჩნევა ტუროპერატორი, თუ იგი ვერ უზრუნველყოფს ვადამოსული ვალდებულებების შესრულებას/გადახდას, რაც შეუძლებელს ხდის ტურისტული მომსახურების გაწევას. უზრუნველყოფა ხორციელდება დაზღვევით ან საბანკო გარანტიით.

5. წარდგენილი ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ტურისტს უფლებას აძლევს, საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის მიმართვის საფუძველზე მიიღოს ამ თავით გათვალისწინებული კომპენსაცია.

მუხლი 28. გადახდისუუნარობისგან დაცვა და დაკავშირებულ ტურისტულ მომსახურებებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნა

1. დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები ვალდებული არიან ჰქონდეთ ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) ყველა გადასახადთან დაკავშირებით, რომლებსაც ისინი იღებენ ტურისტისგან, თუ ტურისტული მომსახურება, რომელიც დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ნაწილია, მათი გადახდისუუნარობის გამო ვერ ხორციელდება.

2. თუ დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების მიმწოდებლები ტურისტების გადაყვანისთვის პასუხისმგებელი პირები არიან, ფინანსური გარანტია (უზრუნველყოფა) აგრეთვე უნდა ფარავდეს ტურისტის რეპატრიაციას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე ვრცელდება ამ კანონის 27-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების მოქმედება.

4. მოვაჭრე, რომელიც ხელს უწყობს დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების შეძენას, და მოვაჭრე, რომელიც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლების გარეთ არის რეგისტრირებული, ვალდებული

არიან ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ტურისტს ნათლად და გასაგებად განუმარტონ, რომ:

ა) იგი ვერ ისარგებლებს ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ უფლებებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონით, და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სათანადო შესრულებისთვის პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მომსახურების თითოეული მიმწოდებელი;

ბ) გადახდისუუნარობის შემთხვევაში იგი ისარგებლებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფით.

5. ტურისტს სტანდარტული ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ფორმით.

6. თუ ამ მუხლის პირველი–მე-5 პუნქტების მოთხოვნებს დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი არ შეასრულებს, დაკავშირებულ ტურისტულ მომსახურებაზე გავრცელდება ამ კანონის მე-18 და 21-ე–25-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

7. თუ ტურისტი დამატებით ხელშეკრულებას დებს მოვაჭრესთან, რომელიც დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი არ არის, მაგრამ ამ ხელშეკრულების დადებით იქმნება დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება, მოვაჭრე ვალდებულია დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს შეატყობინოს ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ.

მუხლი 29. ვალდებულებების უზრუნველყოფის ფარგლები

1. ტუროპერატორის მიერ წარმოდგენილი ფულადი უზრუნველყოფა მოიცავს:

ა) პაკეტის შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუ პაკეტი გაუქმდა;

ბ) პაკეტის იმ ნაწილის კომპენსაციის თანხას, რომელიც გაუქმდა;

გ) ტურისტის რეპატრიაციის ხარჯებს, თუ პაკეტი ითვალისწინებს ტურისტის გადაყვანას;

დ) რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსების ხარჯებს.

2. დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ფულადი უზრუნველყოფა მოიცავს:

ა) ტურისტის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუ ტურისტული მომსახურება, რომელიც გათვალისწინებული იყო დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით, მოვაჭრის გადახდისუუნარობის გამო არ განხორციელდა;

ბ) ტურისტის რეპატრიაციის ხარჯებს, თუ დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობა გადაყვანას მოიცავს;

გ) რეპატრიაციამდე ტურისტის განთავსების ხარჯებს, თუ დაკავშირებული ტურისტული მომსახურებები მოიცავს ტურისტების გადაყვანას და გადაყვანისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მოვაჭრეს.

3. ტუროპერატორი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას წარუდგენს შესაბამისი უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატის) 1 ეგზემპლარს. უზრუნველყოფისა და მისი ოდენობის შესახებ ინფორმაცია აისახება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სპეციალურ რეესტრში.

4. ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაცვლელად ცენტრალური საკონტაქტო ორგანოა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

5. თუ ცენტრალურ საკონტაქტო ორგანოს ეჭვი აქვს ტუროპერატორის გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის თაობაზე, მან ახსნა-განმარტება უნდა მოსთხოვოს ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების სხვა წევრ სახელმწიფოს, რომელიც ტუროპერატორის რეგისტრაციის სახელმწიფოა.

6. თუ ცენტრალური საკონტაქტო ორგანო ევროპის ეკონომიკური ზონის შესახებ შეთანხმების სხვა წევრი სახელმწიფოს ცენტრალური საკონტაქტო ორგანოსგან მიიღებს საქართველოში რეგისტრირებული ტუროპერატორის მიერ მიწოდებულ გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნას, მან ასეთ მოთხოვნას უნდა უპასუხოს შეძლებისდაგვარად სწრაფად, საკითხის გადაუდებლობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

მუხლი 30. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ოდენობის გამოთვლა

1. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ოდენობის გამოთვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად წარმოდგენილი უზრუნველყოფის თანხა უნდა იყოს ეფექტიანი და უნდა მოიცავდეს გონივრულად მოსალოდნელ ხარჯებს. ის უნდა ფარავდეს ტურისტების მიერ ან მათი სახელით პაკეტებისთვის გადახდილ თანხებს – პირველ შენატანებსა და საბოლოო გადახდებს პაკეტების დასრულებას შორის პერიოდის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აგრეთვე რეპატრიაციის სავარაუდო ხარჯებს ტუროპერატორის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. აღნიშნული უზრუნველყოფის თანხის შესაბამისობის (საკმარისი ოდენობის) მტკიცების ტვირთი ეკისრება ტუროპერატორს.

3. მოვაჭრე ვალდებულია კვარტალში ერთხელ, ყოველი საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას წარუდგინოს პაკეტებისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების გაყიდვიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების შესახებ ანგარიში. მოვაჭრემ უნდა წარადგინოს მომდევნო კვარტალისთვის განახლებული პაკეტებისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების დაგეგმილი გაყიდვების შესახებ მონაცემები, აგრეთვე მე-4 კვარტალის ანგარიშთან ერთად უნდა წარადგინოს მომავალი წლის გეგმა (კვარტალების მიხედვით ჩაშლილი), რომელიც გამოყენებული იქნება უზრუნველყოფის ოდენობის გამოსათვლელად.

4. უზრუნველყოფის მოქმედების ვადა 6 თვეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

5. ახალი უზრუნველყოფა წარმოდგენილი უნდა იყოს წინა უზრუნველყოფის მოქმედების ვადის ამოწურვამდე 1 თვით ადრე. ახალი უზრუნველყოფის მოქმედება უნდა იწყებოდეს არაუგვიანეს წინა უზრუნველყოფის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგი დღისა.

6. თუ მოვაჭრე რამდენიმე მომსახურების ორგანიზებას ახორციელებს, იგი ვალდებულია წარადგინოს უმაღლესი ოდენობის შესაბამისი უზრუნველყოფა.

7. მოვაჭრე ვალდებულია შეაფასოს თავისი უზრუნველყოფის შესაბამისობა

და საჭიროების შემთხვევაში გაზარდოს მისი ოდენობა.

8. ტუროპერატორს შეუძლია დააზღვიოს თითოეული პაკეტი. ეს დაზღვევა დაფარავს თითოეულ პაკეტს ინდივიდუალურად, შესაბამისი რისკების ოდენობით. თითოეული პაკეტის დაზღვევის შემთხვევაში ვალდებულების უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 31. ვალდებულების უზრუნველყოფის გამოყენება

1. თუ მოვაჭრის გადახდისუუნარობის გამო ვერ სრულდება ტურისტული პაკეტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მოვაჭრე ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და ტურისტს, რომელმაც შეიძინა პაკეტი ან დაკავშირებული ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

2. მოვაჭრის მიმართ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით მიმდინარე საქმე არ ზღუდავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებას, გამოიყენოს ამ თავით გათვალისწინებული უზრუნველყოფა.

3. უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. უზრუნველყოფის გამოყენებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია:

ა) განსაზღვრავს ტურისტების მიერ ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის ვადას, რომელიც 14 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს;

ბ) აგროვებს უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ ტურისტების მოთხოვნებს, ამოწმებს დროულად წარდგენილი მოთხოვნების საფუძვლიანობას და შესაძლებლობის შემთხვევაში ტურისტს სთავაზობს პაკეტის გაგრძელებას;

გ) უზრუნველყოფს ამ კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას და უზრუნველყოფის გამცემის მიერ უზრუნველყოფის თანხის (თანხების)

გონივრულ ვადაში გადახდას.

4. გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის გამოყენების წესი და პროცედურები დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 32. საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლების გარეთ დაფუძნებული ტურისტული სააგენტოს (ტურაგენტის) სპეციფიკური ვალდებულებები

ამ კანონის 22-ე–31-ე მუხლები აგრეთვე ვრცელდება ტურისტულ სააგენტოზე (ტურაგენტზე), რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური გაერთიანების ფარგლების გარეთ დაფუძნებული ტუროპერატორის მიერ შექმნილ პაკეტს ყიდის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი) უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ შესაბამისი ტუროპერატორი ასრულებს იმავე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

თავი VI

რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება

მუხლი 33. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება

1. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების წესი დგინდება ამ კანონითა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

3. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებელს საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 34. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობის განხორციელება

1. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობა ხორციელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობის სფერო და კომპეტენციები დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

3. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული ფიზიკური პირი.

4. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის სერტიფიცირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო.

5. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო აწარმოებს სერტიფიცირებული პირების რეესტრს და გასცემს სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის ოფიციალურ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს, რომლის ფორმას ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

6. ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესსა და პირობებს, აგრეთვე ამ ნიშნის ფორმას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

7. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია პირის სერტიფიცირების, სერტიფიკატის გაუქმების ან/და შეჩერების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას.

8. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს სერტიფიცირებული პირების რეესტრის საჯაროობა და მისი მუდმივი განახლება.

9. სერტიფიცირებული პირების მიერ სერტიფიცირების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო უზრუნველყოფს მათ მიმართ სათანადო ზომების მიღებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. სამთო გამყოლს, სათხილამურო გამყოლსა და ალპურ გამყოლს საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა ჰქონდეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, რომლის პირობები (მათ შორის, ლიმიტები) და განხორციელების წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

11. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუხლი 35. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის ვალდებულებები

1. სამთო გამყოლი, სათხილამურო გამყოლი და ალპური გამყოლი ვალდებული არიან:

ა) დაიცვან სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის პროფესიული სტანდარტები;

ბ) საქმიანობის განხორციელებისას თან იქონიონ ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, რომელსაც გასცემს აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო.

2. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის ტერიტორიული კომპეტენციები (მათ შორის, გზა და რელიეფი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დახრილობა, ექსპოზიცია და სხვა), სადაც შეიძლება თითოეული მათგანის საქმიანობის განხორციელება, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით.

თავი VII

ტურისტული გიდის საქმიანობის რეგულირება

მუხლი 36. ტურისტული გიდი

1. საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული გიდის მომსახურება ხორციელდება ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ტურისტული გიდი ვალდებულია რეგისტრაცია გაიაროს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

3. ტურისტული გიდის სერტიფიცირება ნებაყოფლობითია და მას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო.

4. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს სერტიფიცირებული ტურისტული გიდების რეესტრის საჯაროობა, მისი მუდმივი განახლება და საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის გაზიარება.

5. ტურისტული გიდი, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ვალდებულია რეგისტრაცია გაიაროს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

6. აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

მუხლი 37. ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშანი

1. ტურისტული გიდის ოფიციალურ მაიდენტიფიცირებელ ნიშანს გასცემს აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო.

2. ამ მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესსა და პირობებს, აგრეთვე ამ ნიშნის ფორმას ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

3. ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მფლობელი პირი თავისუფლდება სახელმწიფო მუზეუმებში და დაცულ ტერიტორიებზე შესვლისთვის დაწესებული გადასახდელის გადახდისგან.

4. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის მფლობელი პირებისთვის დააწესოს სხვა სახის წამახალისებელი შეღავათები.

თავი VIII

დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებები

მუხლი 38. ამ თავის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ამ თავის მიზანია, ხელი შეუწყოს შიდა ბაზრის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მიაღწიოს მომხმარებლების მაღალ დონეზე დაცვას დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენებისა და გაცვლის ხელშეკრულებების ბაზარზე გატანის, გაყიდვისა და გადაყიდვის ზოგიერთ ასპექტთან მიმართებით.

2. ეს თავი შეეხება ამ კანონით გათვალისწინებულ გარიგებებს მოვაჭრესა და მომხმარებელს შორის.

3. ამ თავით გათვალისწინებული წესები არ შეიძლება შეიცვალოს ტურისტის საზიანოდ.

მუხლი 39. დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია

1. მოვაჭრემ მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე გარკვევით და სრულყოფილად უნდა მიაწოდოს ზუსტი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, მათ შორის, ქცევის კოდექსის შესახებ, სტანდარტული ფორმების შესაბამისად, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მოვაჭრემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს უფასოდ, მატერიალური ფორმით ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე, რომელიც მომხმარებლისთვის ადვილად ხელმისაწვდომია.

3. მოვაჭრემ უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შედგენილი იყოს ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც ის არის (მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად), ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფო ენაზე, თუ ეს ენა ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის სახელმწიფო ენაა.

მუხლი 40. რეკლამის წესები

1. დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებების რეკლამა უნდა იძლეოდეს წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას და უთითებდეს ადგილს, სადაც შეიძლება მისი მიღება.

2. თუ მოვაჭრე მომხმარებელს პირადად სთავაზობს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებას სარეკლამო ღონისძიების ან ფასდაკლების აქციის ფარგლებში, მოვაჭრემ გარკვევით უნდა მიუთითოს აქციის კომერციული მიზნისა და ხასიათის შესახებ.

3. დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების პროდუქტი არ შეიძლება რეკლამირებულ იქნეს, როგორც ინვესტიცია.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს აქციის განმავლობაში ნებისმიერ დროს.

მუხლი 41. დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულების პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს წერილობით, ქაღალდზე ან სხვა ხანგამძლე მატარებელზე ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნის, სადაც მომხმარებელი ცხოვრობს ან რომლის მოქალაქეც ის არის (მომხმარებლის არჩევანის შესაბამისად), ერთ ან ერთზე მეტ სახელმწიფო ენაზე, თუ ეს ენა ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის სახელმწიფო ენაა.

2. ამ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და შეიძლება შეიცვალოს მხარეების შეთანხმებით ან გარდაუვალი და განსაკუთრებული გარემოებების გამო, რომლებიც მოვაჭრის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია. ხელშეკრულება გარკვევით უნდა მიუთითებდეს ამგვარი ცვლილებების შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შესახებ მომხმარებელს წერილობით უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დადებამდე.

4. ხელშეკრულება ამ კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა ვინაობისა და საცხოვრებელი ადგილის მისამართის შესახებ ინფორმაციას, ხელმოწერას;

ბ) ხელშეკრულების დადების თარიღისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას.

5. მოვაჭრემ მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე უნდა აცნობოს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების, ამ კანონის 42-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ხანგრძლივობისა და ამავე კანონის 44-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე წინასწარი გადახდის აკრძალვის შესახებ.

6. ხელშეკრულების შესაბამის დებულებებს მომხმარებელმა ხელი უნდა მოაწეროს ცალ-ცალკე.

7. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ხელშეკრულებიდან გასვლის ცალკე სტანდარტულ ფორმას, რომელიც განისაზღვრება ამ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ემსახურება ამავე კანონის 42-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების გამარტივებას. ხელშეკრულებიდან გასვლის ცალკე სტანდარტული ფორმა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

8. მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებისას გადაეცემა სათანადოდ დამოწმებული (ხელმოწერილი) ხელშეკრულების 1 ეგზემპლარი.

9. დროის განაწილების ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების ხანგრძლივობის გამოთვლისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დებულება, ავტომატური განახლების ან გახანგრძლივების პირობა.

მუხლი 42. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება

1. მომხმარებელს უფლება აქვს, გავიდეს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან 14 კალენდარულ დღეში ყოველგვარი განმარტების გარეშე.

2. ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა აითვლება:

ა) ხელშეკრულების დადების დღიდან;

ბ) იმ დღიდან, როდესაც მომხმარებელი მიიღებს ხელშეკრულებას, თუ ეს დღე დგება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თარიღზე გვიან.

3. ხელშეკრულების ვადა იწურება:

ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დღიდან 1 წლისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, თუ მოვაჭრემ არ შეავსო და მომხმარებელს წერილობით, მატერიალური ფორმით ან სხვა ხანგამძლე მატარებლის მეშვეობით არ გადასცა ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა ამ კანონის 41-ე მუხლის მე-5–მე-7 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დღიდან 3 თვისა და 14 კალენდარული დღის შემდეგ, თუ ამ კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს არ მიეწოდა წერილობით ან სხვა ხანგამძლე მატარებლის მეშვეობით სტანდარტული საინფორმაციო ფორმის შესაბამისად.

4. თუ ამ კანონის 39-ე მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა მოვაჭრემ შეავსო წერილობით ან სხვა ხანგამძლე მატარებლის მეშვეობით და მომხმარებელს გადასცა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დღიდან 1 წლის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ათვლა დაიწყება მომხმარებლის მიერ აღნიშნული ფორმის მიღების დღიდან.

5. თუ ამ კანონის 39-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მომხმარებელს მიეწოდა წერილობით ან სხვა ხანგამძლე მატარებლის მეშვეობით სტანდარტული საინფორმაციო ფორმის შესაბამისად ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დღიდან 3 თვის განმავლობაში, ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ათვლა დაიწყება მომხმარებლის მიერ ამ ინფორმაციის მიღების დღიდან.

6. თუ მომხმარებელს გაცვლისა და დროის განაწილების ხელშეკრულებებს ერთდროულად სთავაზობენ, ორივე ხელშეკრულებასთან მიმართებით გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის მხოლოდ ერთი ვადა ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ორივე ხელშეკრულებისთვის ხელშეკრულებიდან გასვლის ვადა უნდა გამოითვალოს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების მიხედვით.

7. თუ მომხმარებელი განიზრახავს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებას, მან მოვაჭრეს ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის ამოწურვამდე წერილობით უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ. მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულებიდან გასვლის სტანდარტული ფორმა, რომელსაც უზრუნველყოფს მოვაჭრე ამ კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად. ბოლო ვადა დაცულია იმ შემთხვევაში, თუ შეტყობინება გაიგზავნება ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის

ამოწურვამდე.

მუხლი 43. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები

1. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენებით წყდება მხარეების ვალდებულება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით.

2. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გამოყენების შემთხვევაში მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი, გადასახადი იმ მომსახურებისთვის, რომელიც შეიძლება გაწეული ყოფილიყო ხელშეკრულებიდან გასვლამდე.

მუხლი 44. წინასწარი გადახდის აკრძალვა

1. აკრძალულია დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენებისა და გაცვლის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობის შეთავაზება მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადის დასრულებამდე.

2. აკრძალულია გადაყიდვის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რაიმე წინასწარი გადახდა, გარანტიების უზრუნველყოფა, თანხის ანგარიშზე განთავსება, ვალის აღიარება ან ნებისმიერი სხვა პირობის შეთავაზება მომხმარებლის მიერ მოვაჭრის ან რომელიმე მესამე მხარის სასარგებლოდ რეალური გაყიდვის დაწყებამდე ან გადაყიდვის ხელშეკრულების სხვაგვარად შეწყვეტამდე.

მუხლი 45. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები

1. გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულების შემთხვევაში გადახდა ხორციელდება გადახდის გრაფიკის მიხედვით. აკრძალულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის ნებისმიერი სახით გადახდა, რომელიც განსხვავდება გადახდის გრაფიკისგან. გადახდები, საწევრო შენატანის ჩათვლით, ყოველწლიურ, თანაბარ შენატანებად უნდა დაიყოს. მოვაჭრემ გადახდასთან დაკავშირებული წერილობითი მოთხოვნა უნდა გაგზავნოს გადახდის ყოველ თარიღამდე სულ მცირე 14 კალენდარული

დღით ადრე. მოთხოვნა უნდა შესრულდეს წერილობით ან სხვა ხანგამძლე მატარებლის მეშვეობით.

2. მომხმარებელს მეორე მიმდინარე შენატანის შემდეგ შეუძლია დაჯარიმების გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც მან ყოველ ჯერზე შენატანის გადახდის შესახებ მოთხოვნის მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში მოვაჭრეს უნდა გაუგზავნოს შეტყობინება. ეს უფლება გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 46. დამხმარე ხელშეკრულების შეწყვეტა

1. თუ მომხმარებელი იყენებს დროის განაწილების ხელშეკრულებიდან ან გრძელვადიანი დასვენების ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას, ნებისმიერი სხვა დამხმარე ხელშეკრულება ავტომატურად უნდა შეწყდეს ისე, რომ მომხმარებელს არ დაეკისროს რაიმე სახის ხარჯი.

2. თუ საფასური სრულად ან ნაწილობრივ გადაიხადა მოვაჭრემ ან მესამე მხარემ მომხმარებლისთვის მიცემული კრედიტის მეშვეობით, მესამე მხარესა და მოვაჭრეს შორის შეთანხმების საფუძველზე საკრედიტო ხელშეკრულება უნდა შეწყდეს მომხმარებლისთვის ნებისმიერი სახის ხარჯის დაკისრების გარეშე, თუკი მომხმარებელი გამოიყენებს დროის განაწილების, გრძელვადიანი დასვენების, გადაყიდვის ან გაცვლის ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

მუხლი 47. დროის განაწილების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

1. დროის განაწილების ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში სავალდებულოა.

2. განთავსების საშუალების მესაკუთრის შეცვლა არ იწვევს რეგისტრირებული დროის განაწილების ხელშეკრულების შეწყვეტას.

თავი IX

ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის აღსრულება

მუხლი 48. კანონის აღსრულების ზედამხედველობა და კონტროლი

ამ კანონის აღსრულების ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

მუხლი 49. პასუხისმგებლობა ტურიზმის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის

1. ამ კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უფლებამოსილი თანამშრომელი. სამართალდარღვევათა ოქმის ფორმას ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობა პერსონალის სერტიფიკატის ან/და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1 000 ლარამდე ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარიდან 2 000 ლარამდე ოდენობით.

4. საქმიანობის განხორციელება სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის მიერ, რომლებსაც თან არ აქვთ საიდენტიფიკაციო მოწმობა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარამდე ოდენობით.

5. რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელება ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევით ან/და პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პოლისის ფლობის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 800 ლარიდან 1 500 ლარამდე ოდენობით.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 600 ლარიდან 3 000 ლარამდე ოდენობით.

7. ტუროპერატორისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის მიერ შესაბამისი საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოფის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

8. ტურისტული საქმიანობის სუბიექტის მიერ საქმიანობის განხორციელება რეგისტრაციის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

9. ტურიზმის სფეროში კანონის აღსრულებაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი წარმომადგენლისთვის საქმიანობის განხორციელებაში ხელის შეშლა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

10. საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის ამ კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

11. ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის საქმიანობის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

12. ამ მუხლის მე-2–მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმები გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

13. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

თავი X

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 50. გარდამავალი დებულებები

1. საქართველოს მთავრობამ:

ა) 2024 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს „საკურორტო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა;

ბ) 2025 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობების პრინციპები, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მოპოვების ან/და გაუქმების წესი და პირობები;

გ) 2025 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს ტურისტული გიდების, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, რეგისტრაციის წესი;

დ) 2026 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხა, რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების ტექნიკური რეგლამენტი და სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის საქმიანობის სფერო და კომპეტენციები და ტერიტორიული კომპეტენციების (მათ შორის, გზა და რელიეფი, სიმაღლე ზღვის დონიდან, დახრილობა, ექსპოზიცია და სხვა) ტექნიკური რეგლამენტი;

ე) 2026 წლის 1 ივნისამდე მიიღოს „სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის პირობებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილება და „რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლის პროფესიული პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება;

ვ) 2024 წლის 1 ივნისამდე მიიღოს „საქართველოში შემომსვლელი ტურისტების ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება;

ზ) 2027 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის IV თავით განსაზღვრული სტანდარტული ფორმები;

თ) 2027 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ამ კანონის VIII თავით განსაზღვრული სტანდარტული ფორმები;

ი) 2027 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს გადახდისუუნარობის უზრუნველყოფის ოდენობის გამოთვლის წესი და პროცედურა;

კ) ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში დაამტკიცოს „კურორტების შესახებ“ დადგენილება;

ლ) უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა:

ა) 2024 წლის 31 დეკემბრამდე შეიმუშაოს სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა (ფორმები);

ბ) 2024 წლის 31 დეკემბრამდე დაამტკიცოს ტურისტული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის სტატუსის მინიჭებისა და გაუქმების წესი, საქმიანობის წესი და სტანდარტი;

გ) 2025 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს ტურისტული გიდის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი მოწმობის ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესი და პირობები, მოწმობის ნიშნის ფორმა, აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ ტურისტული გიდის სერტიფიცირების რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციის ფორმა;

დ) 2026 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს აკრედიტებული პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის სერტიფიცირების რეესტრის წარმოების წესი და რეესტრის ფორმა;

ე) 2026 წლის 1 ივნისამდე დაამტკიცოს სამთო გამყოლის, სათხილამურო გამყოლისა და ალპური გამყოლის ოფიციალური მაიდენტიფიცირებელი ნიშნის გაცემისა და გაუქმების წესი და პირობები, მოწმობის ნიშნის ფორმა;

ვ) 2027 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს ტურისტული პაკეტებისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურებების გაყიდვიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების შესახებ ანგარიშის ფორმა;

ზ) 2027 წლის 1 ივნისამდე შეიმუშაოს ტუროპერატორისა და დაკავშირებული ტურისტული მომსახურების მონაწილის გადახდისუუნარობისგან დაცვის სერტიფიკატის ფორმა;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 51. დასკვნითი დებულებები

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 6 მარტის კანონი (პარლამენტის უწყებანი, №13-14 (45-46/13), 12 აპრილი, 1997, გვ. 3).

2. ეს კანონი, გარდა ამ კანონის მე-6–მე-9 და მე-11–47-ე მუხლებისა და 49-ე მუხლის მე-2–მე-11 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის მე-12 მუხლი ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივნისიდან.

4. ამ კანონის მე-6–მე-9 მუხლები და 49-ე მუხლის მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2024 წლის 31 დეკემბრიდან.

5. ამ კანონის მე-11 მუხლი და 49-ე მუხლის მე-8 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

6. ამ კანონის 36-ე და 37-ე მუხლები ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივნისიდან.

7. ამ კანონის 33-ე–35-ე მუხლები და 49-ე მუხლის მე-2–მე-6 პუნქტები ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივნისიდან.

8. ამ კანონის მე-13–32-ე და 38-ე–47-ე მუხლები და 49-ე მუხლის მე-7, მე-9 და მე-10 პუნქტები ამოქმედდეს 2027 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 დეკემბერი 2023 წ.

N3969-XIIIმს-Xმპ